წელიწადი მეოთხე. № 17. 4 მაისი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «იბერიის» რედაქციაში მოწერილის ქუჩაზე, შოთაევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

გარეულებად მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«იბერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით ჯ გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევრის წლ. . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . « 15 კ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: მეოთხე მორიგი კრება ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის წევრთა. საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. ზაქათალის ოლქი. («იბერიის» კორრესპონდენტები).—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. ქართველს გაბოლობაზედ, ანაგვილისა.—IV. სასამართლოს მატიანე, ზასულიხის ქალის საქმე (შემდეგი).—V. სისხლის მოჩვენებაზედ. მოთხრობა (შემდეგი).—VI. ფიქრი და შენიშვნა.—VII. განცხადებანი.

საქართველოს მატიანე

მეოთხე მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურების საადგილ-მამულო ბანკის წევრთა.

25 აპრილს, თანხმად გამოცხადებისა, შეიკრიბა ზემოხსენებულთა წევრთა კრება. სულ ორმოცდა-ათი წევრი დასწრო. კრებას წარედგინა ზედამხედველის კომიტეტისაგან რამდენიმე საგანი განსახილველად. პირველი მათგანი იყო ანგარიში ბანკის გამგეობისა 1877 წლის ბანკის მოქმედების თაობაზედ. კრებამ მოისმინა ამ საგანზედ მოხსენება ზედამხედველის კომიტეტისა და ბანკის გამგეობისა და დაამტკიცა ანგარიში. ამ ანგარიშიდამ აღმოჩნდა 1877 წლის წმინდა მოგება 22,939 მანეთი ასე რომ წინა ორის წლის მოგებასთან შეადგენს ერთად 67,490 მან. 90½ კაპ. შემდეგ ამისა კრებას მოხსენდა ზედამხედველის კომიტეტის აზრი მასზედ, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ის 10,323 მანეთი და 61 კაპ., რომელიც, თანხმად წესდების § 90-სა, უნდა გადადებულ იქმნას საყოველთაო საჭიროებისათვის. ამ საგანზედ ზედამხედველის კომიტეტის აზრი ის იყო, რომ ჩვენი საერთო საჭიროება თვითეულად ცალკე ისე მძიმეა და ბევრს ფულს ითხოვსო, რომ ეს ათასი თუმანი ვერ გაჭყლეტენო, ამიტომაც გვიჯობსო ჯერ კარგა ფული მოგროვდესო და მერე შევმართოთ ხელი საჭიროების დაკმაყოფილებასაო. კრება გაუხდა ამაზედ თანახმა და განაჩინა, რომ ეგ ფული ებარებოდეს ზედამხედველს კომიტეტს ვიდრე ბანკის მოგებიდამ კარგა ზომიერი ფული შეჭყლეტებაო საამოფად რომელიმე საერთო საჭიროებისა. შემდეგ ამისა წარედგინა კრებას ბანკის გამგეობისაგან საჭიროდ დანახული ცვლილებანი წესდების რიგ-დანისამე მუხლისა. კრება არ შეუდგა ამ საგნის განხილვასა და განაჩინა, რომ ვიდრე განიხილებოდეს, ეგ ცვლილებანი დაბეჭდილიყოს, რათა ამით ყველას ღონისძიება მიეცეს დაწერილებით დაკვირდეს იმ ცვლილებათა საგანსა და მას მერმედ განხილულ იქმნეს ამავე მეოთხე კრებისაგან. ამ გვარივე განაჩენი დაიდვა შესახებ დამფასებელთა ინსტრუქციის პროექტისა, რომელიც ბანკის გამგეობისაგანვე წარდგენილ იქმნა. მას მერმედ კრებამ მოისმინა მოხსენება მასზედ, რომ საფინანსო მინისტრის ნებადართვით შეცვლილ არიან წესდების 77, 78, 82, 83, 94, 87 და 88 მუხლნი და 68 მუხლი სრულიად გაუქმებულია.

დამფასებელთა შესახებ კრებამ განაჩინა, რომ ვინც დღემდე ამორჩეულნი არიან, იმათი ხელახლად ამორჩევა არ იქმნას, მხოლოდ არჩევანი მოხდეს ერთის დამფასებელისა და ორის კანდიდატისა, რადგანაც აკლიან. ბანკის წევრად ხელახლად ამორჩეულ იქმნა კენჭით თ. ალ. ჩოლოყაშვილი.

ზედამხედველის კომიტეტის მოხსენების თანხმად კრებამ განაჩინა, რომ თავად-აზნაურნი, რომელნიც ბანკის წევრად არ არიან, მიღებულ იქმნან წევრად, თუ მათზედ შეწერილს ფულს ერთად წარმოადგენენ იმ პირო-

ბით, რომ ნაწილი ამ ფულისა იმ თავნში შეირიცხოს, რომელიც 84 მუხლის ძალით უკანვე დასაბრუნებელია და ნაწილი დაუბრუნებელ თავნად.

ბოლოს კრებამ ამოარჩია ორი ახალი წევრი ზედამხედველის კომიტეტისა თ. კახტანგ ორბელიანი და კახტანგ თულაშვილი. ამით გათავდა 25 აპრილს კრება.

26-ს აპრილს ხელახლად მოხდა კრება და კრებაზედ დაესწრო 61 კაცი. კრებას დაურიგდა დაბეჭდილი პროექტი წესდების მუხლთა ცვლილებისა. ამ დღეს კრებამ გადაჭრა, რომ ეგ პროექტი წარდგენილ იქმნას ჯეროვანს ადგილს დასამტკიცებლად იმ დამატებით, რომ ბანკში სხვა წევრის გაქილად მიღებულ იქმნას ის წევრი, რომელსაც ექმნების გაქილობის წერილი უბრალო ქაღალდზედ დაწერილი, და შემოწმებული ორის წევრისაგან, რადგანაც ნოტარიუსის წესით შემოწმებული მეტად ძვირად ჯდება როგორც ფულით, ისე დროს დაკარგვისა გამო. მასთანავე დამტკიცა პროექტი დამფასებელთა ინსტრუქციისა. ივრის დამზოგველ ამხანაგობის თხოვნა მოისმინა კრებამ და ზედამხედველის კომიტეტის აზრის თანხმად განიხილა, რომ არამც თუ მარტო ამ ამხანაგობას, არამედ ეოველს მაგგვარს სესხით ჩელი გაუმართოს ხოლმე ზედა-მხედველმა კომიტეტმა თვითოს ორას თუმნამდე იმ ფულიდამ, რომელიც 1876 წლის კრების განჩინებით გადადებულ იქმნა სოფლის ბანკების ხელის გასამართავად.

პრეკაზიდამ სათავად-აზნაურო ბანკში ვალების გადმოტანის შესახებ კრებამ განიხილა, რომ უარ ეთქვას ყოველს წინადადებას ამ საგანზედ

დამფასებელად ამოარჩეულ იქმნა ანტონ ფურცელიძე და კანდიდატებად თ. ს. ჩარქეზიშვილი და თ. ალ. შალიკაშვილი.

ამ კრებაში ორი სხვა საგანიც იქმნა განხილული, მაგრამ რადგანაც ეგ საგნები კერძო პირთ და კერძო შემთხვევას შეეხება, ამიტომ საჭიროდ არა ვრაცხთ ამ საგნზედ ლაპარაკსა.

ამით გათავდა მეოთხე მორიგი კრება სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა.

საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

26 აპრილსვე მოხდა საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა. გუბერნიის მარშლის მოადგილემ თ. დ. სუმბათიშვილმა გამოუცხადა კრებას, რომ მთავრობისაგან ნებართვა აღებული აქვს რათა თავად-აზნაურობამ მოიღაპარაკოს თავის საკუთარ საჭიროების თანბაზედ. კრებაში დაესწრნენ სხვათა შორის გორის მაზრის მარშალი და სიღნაღისა.

თ. ნუშკო სუმბათაშვილმა მოახსენა კრებას, რომ კანონით გამიჯნულს მიწებზედ თითო კაბეიკი უნდა გაძღოთ ოცის წლის განმავლობაშია. ხოლო როცა გამიჯნულის მამულის პატრონი ჩვენს ბანკში მამულს აგირავებსო, მაშინ ნოტარიუსი მოწმობაში იხსენიებსო ამ გარდასახადს და ბანკიც ამის გამო ამ ფულს ერთბამად იგზავნიო და ჩვენ ბანკის ხაზინაშიო. ამ საგანზედ გაიმართა ბაასი და ბოლოს კრებამ განიჩინა, რომ დეპუტატთა კრებამ დაწერილებით განიხილოს ეს საგანი და გუბერნიის მარშლის შუამდგომლობით ეთხოვოს მთავრობას, რომ ამ შემთხვევაში კანონისამებრ მოიქცეს ჯეროვანი აღგილი.

იმავე თ. ნუშკო სუმბათაშვილმა მიაქცია ყურადღება კრებისა მასზედ, რომ გამიჯვნა მამულებისა ასე გეიანდებაო, ამის გამო ძალა მოამრეობითი ტაცვა ხშირიაო ჩვენში და ამ ტაცვას კ-ადეკ ცემა, ტეკ,ბა, ზოგჯერ კაცის-კვლაც მოსდევს ხოლმეო; დიდს ზიანში ვართო, რომ ეგრე შეფერხებულია ჩვენში გამიჯვნის საქმეო, ვითხოვოთ რომ ეს საქმე აგვიჩქარონო. კრება დაეთანხმა და განიჩინა, რომ რადგანაც ეგე

ისევ ისა ჭსჯობიაო, რომ ამ საგანზედ არა ვითარი წესი არ დაიდგინოსო. მივანდოთ ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ოთხელს განსაკუთრებულს შემთხვევაში წყვრად ოთხნის მდომელს შეაწყრალს შეძლებისდაგვარად შესატანი წილის-თვისაო. კრებამ ეს უკანასკნელი აზრი მიიღო და განაჩინა რომ გუბერნიის მარშალმა ამ საგანზედ მოიფიქროს ბანკის ზედამხედველ კომიტეტთან.

გუბერნიის მარშალის მოადგილემ წარმოუდგინა კრებას, რომ ბევრმა ქართლის თავად აზნაურებმა მთხოვეს, რომ თავად-აზნაურობამ საპატიებლად უშუამდგომელოსო თ. კონსტანტინე ამილახვარს, რომელიც „სუდენის ბრისტავის“ წინააღმდეგობისათვის განსჯილია შორეულ გუბერნიებში გასაგზავნად. თ. დ. ვ. ერისთავმა პასუხად, ჭსთქვა, რომ თუ ეგ შუამდგომელობა საჭიროდ დანახულიაო, რატომ სხვებზედ კი არ უნდა ვიშუამდგომელოთო, მაგალითებრ, თუნდ თ. ნ. ჩოლოყაშვილზედ და სხვებზედაო; საპატიებელნიო ბევრნი არიან. ამის გამო თ ნ. ჩოლოყაშვილმა წარმოსთქვა მოსწრებული და ძალიან მარილიანი სიტყვა და ბოლოს ჭსთქვა, ჩემთვის ნუ ჭსწუსართო, მე რაც მომიკვდა, მიკისრნიაო. ამ სახით უარ ჭყო თავის შესახებ ოთხელიმე შუამდგომელობა.

ბოლოს თ. ნ. ამატუნმა აუხსნა კრებას რკინის გზის საჭიროება კახეთისათვის და ჭსთქვა რომ თავადაზნაურობამ მთავრობის წინაშე იშუამდგომელოს, რათა ბაქოსაგან განზრახული რკინის გზა კახეთზედ გაატარონო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს აზრი და განაჩინა, რომ ვსთხოვოთო მის იმპერატორებითს უმაღლესობას კავკასიის მთავარ მართებელს ნება გვიბრძანოსო ხელმწიფე იმპერატორთან ამ საგანზედ დეპუტატია გავგზავნოთო. თუ ეს ნება გვებრძანა, მაშინ ამორჩეულ იქმნან დეპუტატებათო ტენერალ-ადიუტანტები თ. გრ. დიმ. ორბელიანი, ლევ. ივ. მელიქიშვილი, მისის დიდებულების ამალის ლენერალ-მაიორნი; თ. დავ. ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ზურ. ჭავჭავაძე და ივ. გივ. ამილახვარი, ლენერალ-ლეიტენანტი ივ. კონ. ბანრატიონ-მუხრანსკი და თ. ი ნ. ჭავჭავაძე და და მარშალნი თ, დ. ალ. სუმბათაშვილი და ზ. ი. ანდრონიკაშვილი. ამ შუამდგომელობის საბუთების შესაბმელად კრებამ შეადგინა კომისია, რომელშიაც დანიშნეს: ლენერალ ლეიტენანტი კოსტ ქრის. მაჩაბელშვილი, თ. დ. დ. ჯორჯაძე, ი. ა. ანდრონიკაშვილი, ერ. ზალ. ჩოლოყაშვილი, ილ. გრ. ჭავჭავაძე, კ. ა. ბებუთოვი, ნ. ი. ამატუნი და ნ. ი. ნიკოლაძე.

შემდეგ ამისა გათავდა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

ზაქათალის ოლქა. (ოგურ. კორრეს.) მგონია მთელ ალაზნის ვრცელ ვაკეზე არ ჭსცხოვრობს იგეთი ბედნიერი ხალხი, ეკონომიურის მხრით, როგორც ზაქათალის ოლქაში მცხოვრები ხალხია, რომელიც შეჭსდგება სამის ტომიდგან: ლეკებისა, თუალრებისა და ინგილოებისაგან (ქართველები არიან). ამათ შორის ინგილოების მეურნეობა უფრო მაღლა ჭსდგას, ვიდრე დანარჩენებისა. ამათ მოჭყავთ: ბური, ქერი, ფეტვი და ბრინჯი. ამას გარდა, ამათ აქვთ კარგი ბაღნები, რომლებსაც ხშირად ეგრე ეურმნათაც კარგ ფასად ჭყიდიან. აგრეთვე იციან ამათ ჭიის მოყვანა, რომელიც ამ ალაგას დირსეულად აჯილდოებს კაცის შრომას. ზაქათალის ოლქაში ყველა სოფელს აქვს თვისი საკუთარი მთის-წყალი, რომელიც არხებით არის გაყვანილი მინდვრებზედ. ეს არხები იმ გვარად არიან მოწართულნი, რომ აქაურ კაცს, როდესაც ამუშავებს თავის მიწას, სრულებით არ ეფიქრება — «მოსავალი მოიცდებაო!» ვინ არ იცის, რომ მოსავლის ბედი და უბედობა თითქმის სულ წყალზეა დამოკიდებული. რადგანაც აქ წყლები მრავალია, აქაურ მცხოვრებლებს მოსავლის შესახებ სრულიათ არ ეშინიანთ გოლვისაგან. საწყალი ქიზიყელი გლეხი ბევრსაც ირჯება, ბევრსაც ჭსთესავს, მაგრამ იმას თავის დღეში არ მოუვა იმოდენა სარჩო, რამდენიც მოუვა უკანასკნელ ღარიბ ინგილოს.

ამასთანავე ამათ აქვთ ერთი ბატიოსანი ჩვეულება, რომელიც არ მინახავს ქიზიყში და სხვაგან. მე მოგახსენებთ ნადზე, ე. ი. უკეთუ გაქვს სახნავი მიწა, ერთი ეოჩი რომ დაჭ�და ერთი თოხნე ბური რომ გამოაცხო, შაგიძლიან ერთ დღეში დაჭსთესო ათი კოდი; ვისაც კი მოიწვევენ, ყველანი მოგეშველებიან. ეს ჩვეულება, ამათ ეგრე აქვთ მიღებული, ყოთარცა სამდრთო მოვალეობა! აი რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა შორის, ვერ მოჭნახავთ მათხოვარებს, აქ ობოლსაც, ქვრივსაც, ყველასა აქვს თვისი საკუთარი ლუკმა მო-

ჭარბებითაც. ხომ მოგეხსენებათ: უკეთუ გლეხს აქვს საკმაო პური, მას აღარაფერი უჭირს! მეორე უმთავრესი ბედნიერება აქაურის გლეხებისა მასში მდგომარეობს, რომ აქ თითქმის ყველა გლეხს აქვს მიწა, ჰყავს სამუშაო საქონელი და თვისი საკუთარი ოჯახობა, რასაც სხვაგან ვერა ჰპოვებთ. აქ ჯერ აქამომდე სიმდიდრე თითქმის თანასწორად არის განწილული! აქ სიმდიდრე ჯერ არ გამხდარა კუთვნილებად თვითოეულის პირისა!

აგრე არ არის ქიზიყში და აგრეთვე მოსამზღვრე ნუხის მაზრაში, სადაც მოიპოვებიან გლეხნი, რომელნიც ჰსცხოვრობენ როგორც ბატონები და აქვთ დიდი შემლება, შეძენილი, რასაკვირველია, თვისის დაჩაგრულის მოძმეებისა ოფლითა, მაშინ როდესაც მომეტებული ნაწილი ხალხისა არის საშინელ სიღარიბეში; დღიური ლუკმა-პური რა არის, ისიც კი ენატრებათ ამ საწყლებს! რომ აქვთ საკუთარი ჭერი, რომ თავი შეიფარონ; მრავალს ამათგანს არა ჰყავსთ ოჯახობა, რომ ცოტათი მაინც საამურათ გაატაროს ეს სისაწყლისაგან მოშხამული სიცოცხლე... სიღარიბისგან შეწუხებულ ქიზიყელებს მოჰყავთ აქ საკუთარი ქალები და ჰყიდიან, ე. ი. ფულს იღებენ და ათხოვებენ აქაურებზე, რომ აღებულის ფულითა დანაშთენი ცოლ-შვილი მაინც დაიხსნას სიკვდილისგან. ამ გვარი ამბავი ჩვენში მრავალი მამხდარა. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ტყუილი იყოს, ეს ამბავი ყველასაგან ცნობილია და აშკარაა.

მიზეზი ამისა, რომ აქ სიმდიდრე არის კუთვნილება ყველასი, მასში კი არ მდგომარეობს, რომ აქაური გლეხი ჭკუით და ზნეობით უფრო მაღლა იდგეს, ნუხელებსა და ქიზიყელებზედ! არა, ამის მიზეზები სხვა გახლავს. პირველი: აქაური ბუნება გლეხს აქეზებს, ახალისებს, აძლევს შრომის ხალისს, მოსავლის მოუცდენელობით. ამიტომაც ალაგობრივი მცხოვრებნი, ყველანი ხვნა-თესვის მიმდევარნი არიან. გაჭრები ჰსცხოვრობენ ქ. ზაქათალაში და ს. კახში. იმათ არა აქვსთ ნება სოფლათ დასახლდნენ; ამ ბოლოს ჟამს კი გამოჩნდა, რომ, ესენიც კი მიიღვწიან ჩაიგდონ ხელში მიწა-წყალი.

ქიზიყის სიღარიბის და ნივთიერად დაცემის მიზეზი, სხვათა შორის ის იყო, რომ ყველა სოფელში იყვნენ და ეხლაც არიან გამართულნი რამდენიმე დუქნები, სხვა და სხვა საქონლითა. ქიზიყელი დედაკაცები იპარავდნენ სახლით ხარჩოს, და მიარბენინებდნენ დუქანში. გაჭრები რაღას შვრებოდნენ?—ორის და სამის თუმნით იგირავებდნენ ვენახებს, რამოდენიმე წლის განმავალობაში სარგებლობდნენ მოსავლით და მერე კიდეც ისაკუთრებდნენ და ეხლა სიღნაღის მაზრაში მრავალი ვენახები უჭერიათ ამ გაჭრებს. მიკვირს, რომ აქაური მთავრობა ამ გვარ მოვლინებას ეგრე გულ-გრილად უყურებს. ამ უკანასკნელ დროში, ზაქათლის ოლქშიაც, გაჭრებმა ვალში იწყეს გლეხებისაგან მამულების წართმევა, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ აქაურმა მთავრობამ ამ შემთხვევაში გამოიჩინა დიდი-გულმტკივნეულება და ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ძირიანად ამოეკვეთნა ეს ბოროტი მოვლინება!..

ს. თოფოლაშვილი.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ახალს რასმეს აღმოსავლეთის საქმის შესახებ ვერც დღეს მოგახსენებთ. მიდის დრო, ილუპება ამოდენა ფული, კაცი, ჯაფა და შრომა, მაგრამ საქმე კი ერთსა და იმავე წერტილზედ არის შემდგარი. როგორც ისმის ბისმარკსაც ილაჯი გასწყვეტია და ხელი აუღია შუაკაცობაზედ — თქვენ თვითონ მორიგდით, როგორც იცით. ჯერ კი არავითარი ნიშანი არ არის ამ მორიგების მოახლოვებისა. ან რაში უნდა მდგომარეობდეს ეს მორიგება? ინგლისს არც ერთი ნაბიჯიც არ გადუდგამს იმ მტკიცე ნიადაგიდგან, რომელზედაც თავდაპირველად დადგა. მაშასადამე თუ რუსეთიც არ შეეპოვება და არ აასრულებს ინგლისის უმთავრესს მოთხოვნილებას უსათუოდ ომი უნდა ასტყდეს. წამ და უწუმ ისმის რუსეთი გამზადებულია მოლაპარაკებისა და მორიგებისათვისაო. ინგლისიც თავის მხრით ამბობს, მეც მზად გახლავარო. ამისათვის შესდგება ხოლმე სხვა და სხვა მცირე საგანზედ გრძელი ლაპარაკი და მიწერ მოწერა, თვით საქმის დედაბოძი და არსებითი საგანი კი დგას ისევ ისე უძრავად და ხელ-უხლებლად. რუსეთმა შეუთვალა ინგლისს—თუ ჩვენს მიერ დადგენილი მოწყობილობა ბალკანის ნახევარ კუნძულისა არ მოგწონსო, ახლა შენ შენი თქვიო და გა-

მაცხადე ამის მაგივრად რა გსურსო. მაგრამ, შენ არ მომიგვდე: რა უნდა მოხდეს ბალკანის ნახევარ-კუნძულზედაო,—ეუბნება ინგლისი,—ეს კონგრესმა, ე. ი. ევროპის სახელმწიფოთა კრებამ უნდა გარდასწყვიტოსო, იმ სახელმწიფოთა კრებამო, რომელთა ხელ-შეკრულობაზედ არის დამყარებული თვით ოსმალეთის არსებობაო; ჩემს სურვილსა და განზრახვასაც იმავე კონგრესში მოგახსენებო. ახლა წადი და მოურიგდი. მაინც საზოგადოთ დედა-აზრი (ПРИНЦИПЪ) ძლიერი რამ არის და მასთან ბრძოლა ძნელია. სამში ერთი გზა უძევს მის მოპირდაპირეს: ან უნდა დაუმორჩილდეს, ან მის მოცილედ სხვა უფრო მძლავრი, უფრო მარჯვე დედა-აზრი უნდა წამოაყენოს, ან არა და,—არც ერთი, არც მეორე—ხმალმა უნდა იმოქმედოს. რასაკვირველია ფიქრშიაც არა მაქვს ინგლისს უმანკო ანგელოზობა დავწამო, ეშმაკობა და ქვეშქვეშობა არც იმას აკლია. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ დღეს ინგლისს მძლავრ იარაღისათვის წაუვლია ხელი და თავს იმის უკან იფარავს. ეშმაკობაა, თუ რაც არის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჭკუის ნიშანი კი უეჭველია. იმ დედა-აზრის (ПРИНЦИПЪ) წინააღმდეგად, რომელიც ეხლა იარაღად იღლიაში ამოუჩრია ინგლისს, ბევრი უფრო ძლიერი, უფრო მკვიდრი და გავლენიანი დედა-აზრი მოიპოვება. აი თუნდ ავიღოთ ჩაგრულთა განთავისუფლება და უბედურთ გაბედნიერება. აბა რა შეედრება ამ უმაღლესს მიდრეკილებას? მართალია კარგი რამ არის პირშეკრულობის შეურყევლობა, მაგრამ თუ პირშეკრულობას მრავალ ხალხთა ტანჯვა და უბედურობა მოსდევს, მისი დარღვევა უფრო უკეთესია და უმაღლესია. ინგლისს, რასაკვირველია, ესმოდა ყველა ეს. მაგრამ ელოდა ამ დედა-აზრს სახელი გაუტყდებაო, და მაშინ მე ჩემსას წამოვაყენებო. მე ვიცი სახელის გასატეხად მოღვაწეს ვერ იპოვნიდა! დახე მის ეშმაკობას. მის ბედსაც შეხედეთ, რა რიგათ უმართავს ხელს. ახლა მაჰმადიანები აჯანყებულან ბოლგარელთა წინააღმდეგ—ცუდათ გვეკიდებიანო. ეს აჯანყება (როდოპის მთებში, რუმელიაში) ისე გაძლიერებული ყოფილა, რომ მის დასამარცხებლად რუსებს ბლომად გაუგზავნიათ ჯარი. ზოგიერთა გაზეთები ამბობენ, რომ ეს აჯანყება სულ ინგლისელების საქმეაო. აბა რაღა კითხვა უნდა.

ამასობაში ხონთქარს აბდულ ჰამიდს ლამის დღეც დაელიოს. ამბობენ, ვითომ სტამბოლში რაღაც შეთქმულობა გაჩენილაო აბდულ-ჰამიდის ტახტიდამ გადაბძანებისათვისაო. ესეც ინგლისელების საქმე იქნება, მით უფრო რომ აბდულ-ჰამიდი ვითომ რუსეთისკენ არისო.

ქართულს გალობაზედ.

ამ მოკლე ხანში ძალიან გახშირდა ლაპარაკი გალობაზედ და იმის ნოტებზედ გადაღებაზედ. ყველამ ამოიღო ხმა, ყველანი ცდილობენ, რომ თუ ნივთიერათ არა, სიტყვიერათ მაინც თანა-გრძნობა განაცხადონ ამ სასარგებლო ქართულის გალობის აღდგენაზედ. მართლაც სასიამოვნოა იმ საქმეზედ ერთხმობა და საზოგადო თანაგრძნობა, რადგანაც ეს საქმე მარტო ერთს არ ეკუთვნის, არამედ მთელს საზოგადოებასა. ამ ლაპარაკს უთუოთ კაი შედეგიც ექნება. მაგრამ ეს კი არ მეჭაშნიკება, რომ იმ ერთი ანდაზისა არ იყვეს „ჯერ ღვინო არ იყო და ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო.“ ჯერ ქართულის გალობის ნოტები თვალით არავის უნახავს (ის ნოტები არ გახლავსთ, რომლებსაც ეხლა ეძახიან) და მთელი ქვეყანა შეძრეს: „ქართველებმა ნოტებზედ გავაწყოთ გალობაო.“ «დროებამაც» კი ბევრი მოატყუვა. რომელღასაც №-ის დღიურში ეწერა: წმინდა ნინოობას სიონში ქართულად სწირა ყოვლად სამღვდელომ და ახალის ნოტებით ქართულად იგალობესო. ეს დღიურიც უფ. მრევლოვს წაუკითხავს იმერეთში, რომელსაც ადრევ მოცლის დროს უცდია გალობის ნოტებზედ გაწყობა და რომლისგანაც ეს ნოტები სემინარიის რუსულის (და მგონი ქართულისაც) გალობის მასწავლებელს უ. მაჭავარიანს გამოურთმევია იმერეთში ყოფნის დროს. ზემო-ხსენებულს უფ. მენოტეს რა კი „დროებაში“ წაუკითხავს, რომ ნოტებით იგალობეს კიდეცაო, მაშინვე „არიქა ჩემის ნოტებით გალობენო!“ მაშინვე დროებაში დასწერა, რომ მე გამომართო ჩემი ნოტები მაჭავარიანმაო და სხვა. „ქართველსაც“ შეუტყვია გალობის ნოტებზედ დაწერა, გული შესტკივნია და ისვეწება: ქართული გალობა არ გააფუჭოთო! („ივერია“ № 8) ეს კი უფრო მართალს ლაპარაკობს, მაგრამ საქართველოში თხუთმეტი მგალობელი კი ტყუილია, ვინც წირვის გალობა იცის, იმას ვერ დავარქმევთ მგალობელს. ჩვენ მარტო ერთი გვყავს ნამდვილი მგალობელი, მღვდელი გრიგოლ

კარგელოვი, რომელსაც მტკიცედ ასსოვს გალობის კილოები, ესეც ჩვენდა საუბედურად მოხუცებულია.

თუ მართლა რიგიანად შეიდგენელი ვინმე გამოჩნდა ნოტებისა, რასაკვირველია სასიხარულო იქმნება და ალარ შეგვეშინდება გალობის მთლად გაქრობისა მაგრამ თუ იმისთანა ნოტზედ დამწყობნი შეგვხვდნენ, როგორნიც ამ ჟამად იქადიან და ჩვენის გალობის ტოდნას ჩემულობენ, ვაი შენს მტერს! საქმე მარტო დაწერა კი არ არის, საქმე ის არის, რომ ძველი კილო შეუცვლელად დარჩეს გალობაში. ამ ტოტა ხანში ბევრმა გამოიჩინა ნოტის ტოდნა და თავიანთ ნოტებს არქმევენ ნამდვილს ქართულს კილოს, მაგრამ სულ სხვა სასიათისანი არიან. თუნდ ავიღოთ შრომა უჯ. მრევლოვისა, რომელსაც დაუწერია რამდენიმე გალობა კილოზედ და რომლებიც ტუილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელს გამოურთმევია გასაშინჯვათ, მაგრამ ვის უნდა გაეშინჯა? რასაკვირველია მოსწავლეებს, რომლთაც მასწავლებელ ზედ უფრო უკეთ იციან ქართული გალობა და რომელთაც შემდეგ გაშინჯვისა კიდეც დაუწუნეს. მეტათ გარეულიალა. ბევრი ია—ეი, აქა—იქა, აქა ..ია. .ია..ურე ვია. ისევ პატრონს გაუზავნეო. წარსრულს ზაფხულში თვით ამ უფალმა მაწავარიანმაც ბევრი ია რა იმერ—ამერში. ჭალა—ჭულაში გალობის შესადგენათ ნოტებზედ, მაგრამ „წმინდაო ღმერთოს“ და „რომელი ქერუვიმთას“ მეტი ვერა დასწერა რა. ამბობენ ესენი კარგად არისო, მაგრამ, მკითხველო, იქვენგანმა რომელმა ნახეთ ეს ნოტი? თუ კარგია, რატო საჯაროდ არ გამოიტანეს! ეს რა საჭიროა სკივრში შესანახად, იქნება დიმი აკლდეს? თუ ესრე ნელ-ნელა იწერა ნოტები, ადრე გვეშველება განა საგალობლები არა გვაქვს? სამასზედ მეტია.

ამდენს «ნოტის» ძახილში და სიარულში, ის კაცი, რომლის თავშიაც დამარხულია ნამდვილი მამა-პაპური კილო გალობისა, გამოგვეცლება ხელიდამ, როგორც მოსუცებული და წაიღებს ისევ იმასთან, ვისგანაც მიუღია*). მაშინ ვისაც როგორა სურს ისეთი კილოები შეადგინოს. ალარც არავინ დამწუნებელი იქმნება და არც მომწონებელი.

*) ამ გრიგორ კარბელოვის მამა, ჭეტრე, იყო ერის-კაცი, რომელიც თურმე ჩინებულს მგალობლად ითვლებოდა სტეფანე რუსოველ არხიეპისკოპოზის მგალობლებს გუნდში, და ამ მგალობელ ისწავლა მამისგან და თვითონაც კარგა ხანს მსახურებდა ხსენებულის არხიეპისკოპოზის გუნდში სოფელს მარტყოფში.

რადა ბევრი გავაბა და თავი მოგაწყინო, მკითხველო. ეგელანი უნდა ვეცადნეთ, რომ რაგორმე ისევ ალგადგინოთ ძველებური გალობა და მამა-პაპური სალმრთო ზნეობით ისევ ძველებურათ შეეკამკოთ ჩვენი ეკეკლესიანი. ამისთანა საქმეს გულ-გრილობაც არ გამოადგება, არც ერთმანერთზედ მიგდება. ეს გალობა, ჩემო ძმავ მკითხველო, ჩემიც არის და შენიცა. შენმა წინა-პაპმა შენ გიანდერძა, ჩემმა მე.—საზიარო. ამისთანა საზიარო საქმე მარტო ერთს არ უნდა მივანებოთ. „ერთი ბუერის ჯამიშიაც ბრალია.» მე, აქ ის მინდა მოგახსენოთ, რომ მარტო ბერებს და მდგდლებს არ დავავალოთ ამ საქმის შესრულება. მარტო მდგდლებისთვის არ არის გალობა. თვით მდგდლებიც და ეკეკლესიაც ერისათვის არის და ამისთვისაც უნდა შეეკერთოთ მგალობელობა საუფლიერო ხალხთან და თუ რამ მოეკლება, მოგუარონ. მაგრამ ჯერ კი უნდა დახელოვნებით შეკისწავლოთ ნოტები და ამასთანვე ქართული გალობაცა, მაშინ მივუთ ხელი ნოტებზედ ქართული გალობის წერას.

ამ თხუთმეტის წლის წინათ, თუ უფრო უდევნია ვისმეს, ესსომება თუ როგორის შესაზიზღარის კილოთი გალობდნენ ქართლ-კახეთის ეკეკლესიებში. ამისი მიზეზი ის კი არ იყო, რომ ვითომც ძველადვე არა ჰქონდესთ ქართველებს კილო, არამედ ის, რომ გამდგიმებული ანუ ალმადგენელი არავინ გამოუჩნდა და ხომ მოგეხსენებათ „უპატრონო ეკეკლესიასაც კი ეშმაკები დაეპატრონებიან ოხრობის დროს“. აგრეთვე ჩვენი გალობაც უპატრონობამ დაგიწყებას მისცა და სრულებითაც დაგვიწყდებოდა, თუ ამ დროს არ გამოსჩენოდა გულის შემატკივარი. ეს იყო არხიმანდრიტი მაკარი, რომელმაც როგორც იყო წამოაყენა ფესზედ. ეს წინამძღოლობდა ამ დროს სიღნაღის უეზდის ს. ბოდბის წმინდა ნინოს სობოროში და გულ-მტკივნეულად უყურებდა ნაკლულევანებას წმინდის ეკეკლესიებისას გალობის შესახებ. ამისთვის ამან მოასხენა ექსარხოსს ოთხელ გვარი ნაკლი ღვთის მსახურებისგალობის თაობაზე და ექსარხოსმა მიანდო ალგენება გალობისა არხიმანდრიტს მაკარისვე. ეს შეუდგა საქმეს ამ სახით: შეადგინა საზოგადოება სიღნაღის და ზოგიერთის თელაველის სამკუალოებისაგან (ამათ შორის მიიღო მონაწილეობა ესლანდელმა ქალაქის მეთაურმა— დ. ყიფიანმა.) ამ საზოგადოებას უნდოდა დაეკმაყოფილებინა გალობის სასწავლებელის

მოთხოვნილება. დიაკვნები ვალდებულ იყვნენ გალობა ესწავლათ. მასწავლებლათ მოიწვია მგალობელი კარბელოვი და ამ სახით გამართა ჩინებული სასწავლებელი, რომელშიაც გამუდმებით სწავლობდა ორმოცზედ მეტი მოსწავლე, რომელთა შორის სიღნაღის სასწავლებლის მასწავლებელი უფ. სარაჯოვიც იყო. სამის წლის შემდეგ სიღნაღის უეზდში გაიმართა მშვენიერი გალობა, რომლის მსგავსიც თვით მგალობლის — კარბელოვის სამშობლო სოფელშიაც არ მოიპოვებოდა. ყველა საბლაღოჩინოში ოროლი გუნდი იყო მგალობლებისა. მაგრამ, განა არ მოგეხსენებათ უმწყემსო ცხვრებს მგლები დაიტაცებენ. მაკარი არხიმანდრიტი მგონი იმერეთში რაღაც საქმეზედ გაგზავნეს ერთის წლით და ამ ხანში სასწავლებელი შესუსტდა და კიდეც დაიშალა. ეხლაც კარგად და უფრო უკეთესად არის აქ გალობა გავრცელებული ვიდრე ქართლში. დღესაც კაი გალობა შესდგება ხოლმე.

ამ დროს სემინარიამაც მოიწადინა, რომ დაეარსებინათ გალობა და კიდეც გაამწესეს ესევე მგალობელი კარბელოვი მასწავლებლათ. ნეტავი წარმოიდგინოთ, მკითხველო, თუ როგორის აღტაცებით მიეგებნენ მოსწავლენი გალობის სწავლებასს! — დიდის სიხარულით ეთანხმებოდნენ, რომ ამათგან მგალობელთა დასი შემდგარიყო და ტფილისში ქართვლის ეკკლესიებში ეტარებინათ საგალობლად უფასოთ. თვით მაშინდელმა რეკტორმა მ. ვიკტორინმაც ძალიან შეიყვარა ეს გალობა და ამის გულისთვის ისწავლა ქართულად წირვა, რომელზედაც მოიხმარებდა ხოლმე ქართულს მგალობლებს. ამ ხანებში თუ შებრძანებულხარ, მკითხველო, ანჩისხატის სობოროში, გენახებათ მშვენიერი გუგუნი, იქ ერთის დასის მაგიერ ორივე იყო ხოლმე. მარჯვენეცა და მარცხენეცა და ლამაზათ გამოისმოდა ხუთი-ექვსი ხმა *) მაგრამ ჩვენდას უბედუროთ ესეც არ შეგვრჩა: სემინარიაში . . . . აღკრძალეს — გალობა . . . . . . ამ გვარად ისევ ჩქარა მიეფარა ეს მამა-პაპური ეკლესიის სამკაული და ეხლა ესე საწყენათ გაგვიხდა საქმე.

*) სრული ქართულის გალობის ხმები არიან: 1) პირველი ანუ წინთქმა, 2) მეორე ანუ მოძახილი, 3) ბანი. (ესენი უბრალო გალობის ხმებია, რომლითაც დღესაც გალობენ და ჭრელის თქმ. ში (КОНЦЕРТЪ) საჭიროებს ეს ხმებიც) 4) კრინი — АЛТЪ, 5 ზილი — ДИШКАНТЪ და 6) დვრინი ანუ დაბალი ბანი — ОКТАВА.

მგონია ჯერ-ჯერობით ყველას ემჯობინებოდა, რომ გალობის აღდგენა მიენდოთ ისევ არხიმანდრიტის მაკარისთვის, როგორც ამ საქმეში გამოცდილისთვის, რომ ჯერ ზეპირი კილო გავრცელდეს და ხალხში გალობის სურვილი დაიბადოს. ეს თუ იქმნება, ესრე უნდა იქმნეს: გაიმართოს სასწავლებელი უფასოთ, რომელშიაც ყველას შეეძლოს სწავლა ვისაც კი სურს. დიაკვნები ვალდებულათ გახადონ და როგორმე მოიპოვონ ის ღონისძიება, რომლითაც შეიძლებოდეს, რომ სასოფლო სასწავლებლებშიაც სახალხო სიმღერებთან შემოიღონ გალობაცა. თუ ეს ესრე არ იქმნა, ნოტებიც რომ შეადგინონ, მარტო იმათთვის იქმნება, ვინც რუსული გალობა იცის და ქართველის ეკლესიებს რას არგებს? მართალია, თუ არა?

ნეტავი ვიცოდეთ ვინ არის ეხლა მოთავე ამ საქმისა ან ის 500 მ. როგორ უნდა მოიხმარონ, ან მარტო ამის იმედზედ არიან, თუ სხვა იმედიც აქვთ!

არაგველი.

სასამართლოს მატიანე

ზასულიჩის ქალის საქმე

(სიტყვა ზასულიჩის ვექილის ალექსანდროვისა)

(შემდეგი *)

კრესტცში რომ მიიყვანეს ზასულიჩი, ჩააბარეს იქაურს ისპრავნიკსა. ისპრავნიკმა კვიტანცია ბარგის მისაღები მიჰსცა და უთხრა ზასულიჩსა: „ეხლა კი მიბძანდით, მე ხელს არ გიჭერთ. თქვენ თავისუფალი ხართ. წაბძანდით და შაბათობით გამოცხადდით ხოლმე პოლიციის სამმართველოში.“ ზასულიჩმა ჩაიხედა თავის ჯიბეში, რადგანაც მარტო იმის ანაბარად დაგდეს უცხო ქალაქშია. ჯიბეში იპოვა ერთი მანეთი ფული, ფრანცუზული საკითხავი წიგნი, და ერთი კოლოფი შოკოლადის კანფეტი. გამოჩნდა ერთი კეთილი კაცი დიაკვანი, რომელმაც თავის სახლში ბინა მიჰსცა. საქმის რასმის შოვნა შეუძლებელი იყო, მით უფრო რომ ყველამ იცოდა გამოგზავნილია ადმინისტრაციის წესით. მე სხვას, რაც მიამბო ვერა ზასულიჩმა, არ განვიმეორებ დაწვრილებით. კრესტციდამ იგი გადიყვანეს ტვერში, სოლიგალიჩში,

*) «ივერია» №№ 15, 16. 1878 წ.

ხარკოვში. ამ სახით დაიწყო მისი ბინა მოუკიდებელი ცხოვრება, ცხოვრება დედაკაცისა, რომელიც პოლიციის სათვალყუროდ არის დანიშნული. მას უჩხრეკდნენ ბინასა, იწვევდნენ ხოლმე ჩვენების ჩამოსართმევად, ზოგჯერ დაიჭერდნენ კიდეც ხოლმე და ბოლოს სრულიად დავიწყებასაც მიჰსცეს. როცა დაანებეს თავი და ძალას აღარ ატანდნენ რომ კვირაში ერთხელ პოლიციაში გამოჰსცხადდიო, მაშინ იმედი მოეცა რომ შესაძლოა პეტერბურგში ჩუმად წასვლა და იქიდამ თავისის დისწულებით გადასვლა პენზის გუბერნიაში. პენზის გუბერნიაში შეხვდა მას გაზეთის «Голосъ»-ის წაკითხვა და იქიდამ შეიტყო ბოგოლიუბოვის დასჯის ამბავი.

ვიდრე დავიწყობდე ამის ამბავს, ნება მომეცით ცოტა რამ მოგახსენოთ როზგის თაობაზედ. მე არა მაქვს ფიქრად, უფალნო ნაფიცნო მსაჯულნო, წარმოვუდგინო თქვენს ყურადღებას მთელი ისტორია როზგისა. ეგ მეტად შორს წამიყვანდა, მეტად ძველს დროს ჩვენის ისტორიისას გაგვასინჯებდა, იმიტომ რომ რუსის როზგის ისტორია დიდად ხანგრძელია. არა, როზგის ისტორიის მოხსენება კი არ მინდა, მე მინდა მხოლოდ ზოგიერთი ამბავი გიამბოთ მისის უკანასკნელის დღეებისა. ვერა ზასულიჩი ეკუთვნოდა ახალს თაობასა. ვერა ზასულიჩმა მაშინ აიდგა ფეხი, როცა ახალი წესი შემოვიდა ჩვენში, როცა როზგის ხსენება ამბავადღა იყო დარჩომილი. ჩვენ კი, ჩვენ წინა თაობის კაცთა გვახსოვს ჯერ კიდევ ის სრული სუფევა როზგისა, რომელიც ფრთა გაშლილი იყო 1863 წ. 17 აპრილამდე როზგი მეფობდა ყველგან; შკოლაში, სოფლელთა ყრილობაში; როზგი იყო აუცილებელი კუთვნილება მებატონის კომურისა. ჰსწკეპტდნენ ყაზარმებში, პოლიციის სამმართველოში. ჩვენის სისხლის, სამოქალაქოის და სამხედრო კანონების წიგნები როზგით იყო აჭრელებული: როზგი იყო რაღაც უფრო სუბუქი, კეთილ ხმოვანი მოძახილი მათრახისა, „კნუტისა“ და „შპიცრუტენისა.“ გარნა მოვიდა იგი დიდი დღე, დღე, რომელსაც თაყვანსა ჰსცემს მთელი რუსეთი—17 აპრილი 1863 წლისა და როზგი ისტორიის საგნად შეიქმნა. როზგი მართალია, სრულად არ მოისპო, მაგრამ სხვა ყოველივე სასჯელი სხეულისა მოისპნენ სრულიად. როზგი მთლად არ იყო განგდებული, მხოლოდ ძალიან ფრთა მოჰკვეცეს. მაშინ ძალიან შიშობდნენ როზგის მთლად ამოკვეთის გამო; თუმც ამ შიშში წილი არ ედვა მთავრობას, მაგრამ ზოგიერთნი წარმომადგენელნი ინტელიგენციისა კი ჰსწუხდნენ. შიშობდნენ, ასე ერთბამად როგორ ამოვკვეთოთო და უროზგოდ დავაგდოთ რუსეთიო, რომელიც თავისს ისტორიას აწარმოებდა ამოდენა ხანს მხარ და მხარ როზგთანაო; უროზგოდ როგორ დავაგდოთ რუსეთიო, რომელიც თუ დღეს ასეთი ვრცელია, და, განთქმული და განდიდებული, თითქო მარტო როზგის მოწყალებით არისო, ფიქრობდნენ იგინი გულწრფელად. შიშობდნენ, როგორ გამოვაცალოთო ეს დედაბოძი, რომელზედაც დამყარებულია საზოგადო სიმაგრეო. თითქო ამ ბრძენთა სანუგეშოდ, როზგი ზოგიერთს შემთხვევაში ისევ დარჩა, თუმც თავისი საჯარო არსებობა ჩამოეცალა. არ ვიცი, რა საბუთით მოხდა რომ როზგი სრულად არ ამოიკვეთა, მაგრამ ვფიქრობ კი, იგი დარჩა როგორც სახსოვარი მაცვალებულისა, ანუ სამუდამოდ განშორებულის კაცისა. მაგისთანა სახსოვარს მოიპოვიან და დაირჩენენ ხოლმე ცოტ-ცოტაობით. აქ რა საჭიროა მთელი შულო თმებისა, სამყოფია ერთი ბეწვიც; სახსოვარს არავინ არ ინახავს ქვეყნის დასანახავად, არამედ ინახვენ ხოლმე საიდუმლოდ მედალიონში, სადმე შორს, კოლოფშია. მაგისთანა სახსოვარნი მნელად თუ ერთს თაობაზედ მეტს გაჰსძლებს. როცა ერთის საისტორიო ცხოვრებაში დაიდგინება რომელიმე საკეთილო დაწყობილება, რომელსაც ძალა აქვს აღამაღლოს სული ერისა, აღამაღლოს მისი კაცობრიული ღირსება, მაშინ იგი დაწყობილება შეეთვისება ერსა და ნაყოფს მალე გამოიღებს ხოლმე. ამ სახით, სხეულის სასჯელთა ამოკვეთამ დიდად იმოქმედა და აღამაღლა რუსის ერის კაცობრიული ღირსება. ეხლა სამარცხვინოა იგი ჯარის-კაცი, რომელიც როზგამდე მიიყვანს თავის საქმეს; ეხლა სასაცილოა და პატივ-აყრილი იგი გლეხ-კაცი, რომელიც თავს გაიროზგვინებს. აი სწორედ ამ ხანში, როცა როზგის ამოკვეთის შემდეგ 25 წელი გავიდა, როცა კეთილშობილთათვის როზგი უფრო წინად იყო მოსპობილი, აი სწორედ ამ ხანში საპოლიტიკო დამნაშავეთ აღიარებულს პყრობილს მიაყენეს ეგ სამარცხვინო სასჯელი. ეს ამბავი ვერ გამოეპარა საზოგადო ყურადღებას; მაგაზედ მოჰყვნენ ლაპარაკს პეტერბურგში, გაზეთებმაც მაშინვე დაიწყეს ამ საგანზედ ლაპარაკი და აი ამ გაზეთის ნაამბობმა შეჰსძრა პირველად ვერა ზასულიჩის აზრი. კიმო-

ლე ამბავმა ბოგოლიუბოვის გაროზგვისამ ძალიან მძიმედ იმოქმედა ვერა ზასულიჩის გონებაზედ. მაგ სახითვე იმოქმედა ყოველ მასზედ, ვისაც ცნობილი აქვს გრძნობა პატიოსნებისა და კაცობრივის ღირსებისა. ადამიანი, რომელსაც დაბადებით, აღზრდილობით და განათლებით ეთაკილება როზგი, ადამიანი, რომელიც ღრმად ჰგრძნობს სრულს სირცხვილს მაგ კაცის დამდაბლებულის სასჯელისას, ადამიანი, რომელიც ჭკუით, რწმენით და გრძნობით ისეთია, რომ არ ძალუძს გულის შეუწუწუნებლად დაინახოს როგორ აღასრულებენ სხვაზედ ვისზედმე შეურაცხ-მყოფელს სასჯელს გაროზგვისას — ამისთანა ადამიანი თვით იგრძნობს ხოლმე საკუთარს ტყავზედ სულის შემხუთველს ძალას სამარცხვინო სასჯელისას. რა რიგი სატანჯველი წამება უნდა იყოს, ჰფიქრობდა ზასულიჩი, რა რიგი უკადრისი შეგინება ყოველ მისი, რაც კი შეადგენს უძვირფასეს კუთვნილებას განვითარებულის ადამიანისას, განა მარტო განვითარებულისას, არამედ ყოველის კაცისას, რომელსაც კი უცნია გრძნობა პატიოსნებისა და კაცობრივის ღირსებისა!

კანონის თვალით კი არ შეუხედნია ვერა ზასულიჩს იმ ბოგოლიუბოვის დასჯისათვის, თუმცა ზასულიჩს შესაძლებელია არ ჰსცოდნოდა გაზეთებიდამ, რომ ბოგოლიუბოვი, რომელიც განსჯილი იყო კატორღაში გასაგზავნად, ჯერ არ იყო შერიცხული გასაგზავნთა შორის; ჯერ არ იყო ბოგოლიუბოვზედ აღსრულებული ყოველივე იგი, რაც კანონის აზრითართმევს ადამიანს ღირსებას, რაც ჰკვეთს მის კავშირს წარსულთან და რასაც ჩამოჰყავს ადამიანი იმ მდგომარეობამდინ, სადა ადამიანი ყოველს უფლებას და ღირსებას მოკლებულია. ბოგოლიუბოვი ჯერ კიდევ იმ საპყრობილეში იჯდა, სადა ჰსმენ ხოლმე იმათ, ვისაც ღირსება და უფლება არა აქვთ ჯერ აყრილი; იგი ჰსცხოვრებდა უწინდელის გარემოებით მოცული, იგი ჰსცხოვრებდა იმ კაცთა შორის, რომელთ დანახვაზედ თვისი ადრინდელი ყოფა-ცხოვრება წარმოუდგებოდა ხოლმე. არა, ბატონებო, ვერა ზასულიჩს კანონის თვალით არ შეუხედნია ბოგოლიუბოვის დასჯის საქმისათვის. სხვა თვალით დაუწყო ყურება ამ საქმეს, იმ თვალით, რომელიც ეგრე უვრცო არ არის როგორც კანონი, არამედ უფრო გულითადია, უფრო გულშემატკივარია, უფრო კაცობრიულია და რომლის გამოც ზასულიჩს არ ძალედვა არ მიეღო დასჯა ბოგოლიუბოვისა უსამართლობად.

ბოგოლიუბოვი განსჯილი იყო სახელმწიფო დანაშაულისთვის; იგი ეკუთვნოდა იმ ყმაწვილ კაცთა გუნდს, რომელნიც სამართალში მიცემულ იქმნენ კაზანის სობორის მოედანზედ არეულობის მოხდენისათვის. მთელმა პეტერბურღმა იცის ამ არეულობის ამბავი. ყველამ გულმტკივნეულობით დაუწყო ყურება იმ ყმაწვილ-კაცებს, რომელთაც ეგრე წინდაუხედავად გამოიჩინეს თავი საპოლიტიკო დამნაშავეთ; ყველას გული სტკიოდა ყმაწვილ-კაცთათვის, რომელნიც ეგრე გამოუსადეგად დაღუპეს თავისი თავი. სამართალი სასტიკად მოექცა ამ საქმეს. იმ ყმაწვილ კაცთა მოქმედება სამართალს ეჩვენა შემართებად სახელმწიფო წესიერების დარღვევისათვის და კანონიც ჯეროვანის სისასტიკით ამოქმედეს დამნაშავეებზედ. თუმცა სამართლის განაჩენი სასტიკი იყო, მაგრამ მაინც ცნობილ იქმნა, რომ იმ ყმაწვილ-კაცთა მოქმედება იყო სამწუხარო ცდომილება, რომ მათს მოქმედებას საფუძვლად არ ჰსდებია არც სულ დაბალი ანგარიში რისამე შეძენისა, არც თვით ანგარების წადილი, არც ავ-კაცობის განზრახულება; რომ, პირ იქით, მათის მოქმედების საფუძვლად იყო კეთილი ატაცებულობა, რომელსაც ვერ გაუმაგრდა ყმაწვილ-კაცის გონება, ცხოველი ხასიათი ჭაბუკობისა და მიმართა იგინი იმ ცდომილ გზისკენ, რომელმანც მიიყვანა საქმე იმ სამწუხარო დღემდინ.

(შემდეგი იქნება.)

სისხლის მოჩვენებაზედ.

(შემდეგი *).

VI

იმავე წლის 19 ღვინობისთვეს დიდს გზაზედ ხევში, ორასიოდ ნაბიჯზედ კაცთა სადგურიდამ იპოვეს ერთი მოკლული კაცი: ის იყო მეწვრილმანე, კარგი ლამაზი ჭაბუკი კაცი თვრამეტის წლისა და მხიარულად მომხმარებელი ყოველ იმისა, რასაც კი ბედი უგზავნიდა. მე მაშინ შევხედი იმას,

*) «ივერია» № № 14, 15, 16, 1878 წ.

როცა იგი საუზმეზედ იჯდა. მის სანოვაგეს შეადგენდა რამდენიმე ვაშლი, ხის ძირში აკრეფილი და ერთი ნაჭერი ხმელი პური. ყოველსავე ამას იგი სჭამდა დიდის სიამოვნებით და მადიანად. მე გვერდ მოვუჯეგ და გამოვკითხე ვინ არის, რა საქმეშია და როგორ ატარებს თავისს ბინა მოუკიდებელს ცხოვრების დღესა. მან მიამბო, რომ ობოლი ვ ნმეა და სახლში უფროსად დარჩენილია. ჩემის ხელის მონაგრითაო ვინახამო ორს დას ერთს შვიდის წლისას და მეორეს ცხრა წლისას, სოფლის შკოლაში მყვანან მიბარებულნიო. თვეში ერთხელ მივდივარ ჩემის დების სანახავათო, დავრჩები იმათთან ერთი დღე ხოლმეო, მოვუტან რასმესო, ვუალერსებო, დაუგდებო ერთის თვის საგზალსაო და მერე ისევ ჩემს საქმეზედ წამოვალ ხოლმეო.

პური რომ შეჭამა, ჯიბიდამ ამოიღო დანა, წამოაველო ხელი ცალკე გადადებულს ვაშლსა და ჰსთქვა: „ეხლა კი დესსერტს უნდა მივყო ხელიო. ახლა მიყურეთ რა მეცადინეობით გავფცქვნი, ისე კი არ ჩავკმეჩავ როგორც სხვანი. როგორც მხედავთ, მე ჩემის პირის პატივის კაცი ვარო.“

მშვენიერი დღე იყო. განა არა! იმისთანა მზის მადლიან სხივების ქვეშ კეთილისა და პატიოსანის საქმის მეტი სხვა არაფერი არ უნდა მომხდარიყო. გარშამო ყველა გალობდა, ყველა სუნნელებით ჰფშვენდა, ყველა ბრწყინავდა, როგორც სამოთხეში

ჩემდა საუბედუროდ ერთმა სხივმა მზისამ გაითამაშა იმ ყმაწვილის დანის პირზედ. ამის შემდეგ მე თვალი ველარ მოვაშორე ჭაბუკსა. დანის პირზედ დაჰსტრიალებდა სისხლის წვეთი,—და მსწრაფლ გადამეფარა თვალზედ სისხლის ფერი ღრუბელი და მერე გარს შემომერტყა....

—ვაშლი ხომ არა გნებავთ? მიირთვით, მითხრა ჭაბუკმა: ცხელი დღეა; რაც ხიდამ ჩამოვარდნილია, ის ყველას კერძია; მაშასადამე ამ ვაშლის თქვენც იმისთანა პატრონი ხართ, როგორც მე. მე დანასაც გათხოვებთ, თქვენ ვაშლს დაუწყეთ ჭამა და მე მინამდე ჩავალაგებ ხურჯინში ჩემს ქონებას. დროა გზას შევუდგე. ჩვენს სოფლამდე ხუთიოდ აღაჯი კიდევ დამრჩენია. თუ საღამომდე არ მივედი, ჩემი დები სწორედ მდევარს დაიძახებენ კიდეც!

მომაწოდა დანა და თვითონ კი ხურჯინს დაჰსწვდა. საწყალი ბაშვი! აბა რა შეჰსცოდა ღმერთსა? აბა რად მიმიყვანა იქ ბედის წერამა?... დიაღ, ბატონებო, იგი იქ მოკვდა... რ ო გ ო რ მოკვდა,—ამის თქმის ღონე არა მაქვს.

აი ხომ ხედავთ, უფალნო მსაჯულნო, რომ მე მხოლოდ ხელი ვარ სიკვდილისა და სხვა არაფერი. ჯერ მე არავინ არ მომიკლავს მტრობითა, სიძულვილით. ამიტომაც მე ყველაზედ საშიშარი ავაზაკი ვარ და თქვენ უსათუოდ უნდა გაჰსწმინდოთ საზოგადოება და ჩემგან დაისხნათ.

VII

ამ ხანადაც მართლ-მსაჯულების ძებნამ ისე ამაოდ ჩაიარა, როგორც წინადაც. გამოცვალეს რამდენიმე მოხელე კაცი, მოუმატეს ჟანდარმები, აღუთქვეს ჯილდო ვინც კი იპოვიდა მკვლელსა; ღვდელმა ქადაგება ჰსთქვა ეხლანდელის დროის ავზნეობის შესახებ; მერი ამტკიცებდა, რომ ახლო-მახლო ავაზაკების გუნდია შემდგარიო;—ამაებზედ ბევრს რასმეს ამბობდნენ, მაგრამ კი მეორის წლის 6-ს მარტს მაინც კიდევ იპოვეს პოლიციის კომისარი იმ რიგადვე მოკლული, როგორც ლიუროტა და მეწვრილმანე. 7 გიორგობისთვეს სოფლის პომროლის ღვდლის ჯერიც მოვიდა და მოკლულ იქმნა და 12-ს მარტს 1863 წ. წაბძანდა ამ რიგადვე საიქიოს მეურმე, შაპ-მარტენში მცხოვრები.

ვიეილის მცხოვრებთა შიშის ზარი უკანასკნელ ხარისხამდე მივიდა. ყველგან დაიწყეს მაგარის ურდულებით დაკეტვა კარებისა, ხელახლად დაცვალეს კლიტეები, რკინის უჯრები დაუკეთეს ფანჯრებსა. უნდა გეგდოთ ყური რაებს ლაპარაკობდნენ ხოლმე საღამოობით ბუხრის პირ! ყური რომ გეგდოთ, ერთი იმისთანა მოამბე არ იყო, რომ რაღაც ჯადოთი არ დაესხნა ვითომ თავი საშინელის განსაცდელისაგან....რა კი დაღამდებოდა, თვით უშიშარნიც კი მაგრად შეიკეტებოდნენ ხოლმე სახლში; თუ ვისმეს სადმე წასვლა უნდოდა, უსათუოდ თან გაიყოლებდა რამდენსამე კაცს.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მე დიდის სიამოვნებით ვუყურებდი ხოლმე, რომ მთელი ეს ქა-

ლაქი, ასე მარტო ჩემგან შეშინებული, ფაცა-ფუცში იყო, ერთიორად უმატებდა ყარაულებს, არ ასვენებდა პოლიციას, ჰსთხოვდა პარიჟს ჯარი მოგვაშველეო. თითქო ერთმანეთში სისხლის ღვრა მოუხდათო. ბოლოს ჯავრი მომივიდა; რაც კეთილი იყო ჩემში ყელთ მომებჯინა. ვამბობდი, მოდი წავალ, ყველას პირში ვეტყვი ქალაჩუნები ხართ მეთქი, მე თვითონ დავიხსნი მეთქი საზოგადოებას ჩემის ბოროტებისაგან, ბოლოს მოუღებ ამდვენს კაცის-კვლას: ერთის სიტყვით, მე თვითონ მივეცემი მეთქი სამართალს ხელში. მაგრამ ყველა ეს კეთილი დაიხშებოდა ხოლმე იმ აზრით, რომ რა რიგ გაოცდებოდნენ, რა რიგად შეწუხდებოდნენ, რა რიგად შერცხვებოდნენ და რა რიგად გაბოროტდებოდნენ საწყალნი ჩემი მოხუცებულნი მშობელნი, როცა გაიგებდნენ რა გველის წიწილაც გამოზარდეს ამ ქვეყნად!

ერთხელ მახსოვს საღამოს ჟამს ჩვენთან მოვიდა ჩვენი ღვდელი ქალაქდის სათამაშოდ. მამა ჩემს არ უნდოდა მარტო გაეშვა შინ და მითხრა, შენ გააცილეო. დედა ჩემს შიშით თავზარი დაეცა.

— ეგ რა ჰსთქვი, მაქსიმეე!—წაიდუდუნა დედა ჩემმა: იქიდამ ჩვენს შვილს ხომ მარტოკა მოუხდება დაბრუნება. ღმერთო გვიხსენ და, მერე გზაზედ რომ მოგვიკლან, რას იტყვი!

— ეგ მაინც უკეთესი იქნებოდა, ვიდრე სტუმრის სიკვდილი და ყველა იტყოდა: „ღვდელი არ მოკვდებოდა, თუ სახლის პატრონს გამოეცილებინაო“. რაკი აგრეა, მე თვითონ გავაცილებ.

— ის არა ჰსჯობია, სამივემ ერთად გავაცილოთ! იქნება მაშინ ავაზაკებმა ველარ შემოგვბედონ....

— აბა, რასაკვირველია, შენი შეეშინდებათ... კარგი, ჩემო ბებეროვ, შენ აქ მშვიდობით იყავ ბუხრის წინ, მე და ჩემი შვილი გავაცილებთ,— სამყოფი იქმნება!

არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა და როცა კი დაებრუნდით, გზაზედ მამის ჩემის მოკვლის ფიქრმა გამიარა გულში და ვთრთოდი ამ ფიქრის გამო... ოხ, რა რიგად მიყვარდა!... ნეტავი არ მინდა თითი დაეწო ვისმეს, თითი ან მისთვის, ან დედის ჩემისათვის, მაშინ მე ვაჩვენებდი რა კაციც ვიყავ!... ჰსჩანს, მეტად დიდი სიტკბოება არის კაცმა რაიმე მიზეზით მოჰკლას კაცი კეთილი, პატიოსანი ...მე მგონია, მე რომ ჯარში მიღებულ ვყოფილვიყავ, მე ერთი გმირი რამ ვაჟ-კაცი გამოვიდოდი, რასაკვირველია, თუ მინამდე თვით მე ფეხებს არ გამაჭიმინებდნენ.

ყოველ ამისგან ვიეველს ერთი სიკეთე მიენიჭა: დაიწყეს გაზით განათება ქალაქის ქუჩებისა. წინად კი ამისათვის საჭირო ხარჯს არ იმეტებდა ხელმოჭერილი ქალაქის მმართველობა. ეს სიკეთე საკუთრივ მე მივანიჭე ჩემს სამშობლოს. თუ ბევრში არა, ცოტა რამეში მაინც გამოვადეგ!..

პარიჟიდამ გამოგვიგზავნეს დამნაშავის ჩუმნი მაძებარნი, მაგრამ ამათაც ისე ვერა გააწყეს რა, როგორც იქაურმა პოლიციამ. ვინ მოჰსთვლის რამდენს სრულიად უბრალო კაცზედ მიიტანეს ეჭვი და ჩაჰყარეს საპყრობილეში, ვინ იცის რამდენი მოხელე გაგდეს სამსახურიდამ! 7 ღვინობისთვეს კი მე თვითონ შემეშინდა ჩემის თავისა, დავკარ ფეხი და გავვარდი, მით უფრო, რომ დედა ჩემი და მამა ჩემი მაშინ აღარ იყვნენ ცოცხალნი.

მე უმადური კაცი არა ვარ და ამიტომაც ვმადლობ ღმერთსა, რომ ისე მიიბარა ჩემთა ძვირფასთა მშობელთა სული, რომ ჩემის საზიზღარის ავკაცობის ეჭვიც არ ააღებინა.

მე ტყეში გავიკეთე ბინა და იმისთანა თხრილი გავიკეთე სადგურად, რომ მხეციც ვერ ისადგურებდა, სრულიად მარტოკა დავიწყე ყოფნა. ექვსი წელიწადი დავეყავ მარტოობაში, ყოველს ნაკლებულობას ვიტანდი, ვერიდებოდი ადამიანს და ჩემი შექცევა მარტო ნადირობა იყო. დანას აღარ ვეკარებოდი ში'შით, რომ კიდეე არ წამიტყუოს მეთქი...საკვირველია! თოფით ფიქრშიაც არ მომდიოდა კაცის მოკვლა, დანის დანახვაზედ კი ათას ნაირი ფიქრი მომდიოდა... ნეტავი არ იქნება, ამისხსნას ვინმე რისგამო იყო ეს,—გულთა მხილაობისათვის ჯილდოს მივცემდი.

ყველანი ამას ამბობდნენ ჩემზედ: „საწყალი ჟორჟი! მშობლების დაკარგვამ ნადირსავით გახადა! რა რიგი გულმშვიდი, თავ-დაჭერილი, გონიერი ყმაწვილი კაცი იყო! ვინ იფიქრებდა, რომ მაგისთანა უცნაურს საქმეს შეუდგებოდა!“

ეხლა იმ ზორბა საქმის ამბავს მოგახსენებთ, რომელმაც მე მომიყვანა აქ ბრალდებულთა სკამზედ. ხოლო ჯერ ნება მომეცით ცოტა შევისვენო და სული მოვიბრუნო. თქვენც კარგად იცით, რომ ამისთანა ამბები კაცს სულსა ჰხუთავენ და ყელს უშრობენ...

თავ-მჯდომარემ ანიშნა, რომ შეუძლიან დაჯდეს და შეისვენოს. სხდომა შეაფერხეს.

ეკ. ღვინიაშვილისა.

(შემდეგი იქნება.)

სპარსეთის შახის მოსვლა ტფილისში *).

სამშაბათს მეორე საათზედ სპარსეთის შახი მობძანდა ქალაქში. ქალაქის მიჯნაზედ გაეგებნენ «გლავნი უპრავლენიის ნაჩალნიკი» ღენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი, ღუბერნიის მარშლის მოადგილე თავად-აზნაურებითა, ქალაქის მეთაური მოქალაქეებით და პოლიციის მოხელენი. ქალაქი და მთლად ის ქუჩა, რომელზედაც შახს უნდა გამოევლო, მორთული იყო ბაირაღებით და სხვა და სხვა სამკაულითა. აურებელი ხალხი იყო მოფენილი ბანებზედ, ფანჯრებში, მოაჯრებზედ და გალავინის პროსპექტზედ. მეორე საათის ნახევარი იქნებოდა, რომ შახმა ამოიარა თამამშოვის ქარვასლასთან თვითონ ეტლში მარტო ბძანდებოდა, მხოლოდ წინ ეტლშივე იჯდა თავისი კამერღერი. მის ეტლს მოსდევდა სხვა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ სპასალარი სპარსეთისა და ღენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი. მათს შემდეგ ეტლითვე მოდიოდა შახის ამალა, რომელიც ჩვენ ძალიან გვეცოტავა. შახი ჩამოხტა დიდის მთავრის სასახლეში. აქ დახვდა ჯარი, ღენერლობა და აფიცრობა და აგრეთვე დიდის მთავრის ძენი.

*) სამიებელში ხსენებული წერილი: «ფიქრი და შენიშვნა» ამ ნომრიდამ გამოგვეცალა ჩვენდა უნებურად.

სამშაბადს საღამოს დიდი და მშვენიერი ჩირაღდანი იყო ნამეტნავად თამამშოვის ქარვასლიდამ დაწყობილი ალექსანდროვის ბაღის ბოლომდე. სპარსეთის დროშა მზე და ლომი ორგან იყო გამოსახული და გაჩაღებული ჩირაღდნითა. როცა შუშხუნების აშვება დაიწყეს, შახი მოდგა ფანჯარასთან და ნახევარ საათზედ მეტი უყურებდა თამაშს. შახი ახლო ედგა ღენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელსაც თითქმის განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა.

ოთხშაბადს საღამოს შახი მობძანდა თეატრში თავისის ამალითა. თეატრში შახისათვის სამი ლოჟა იყო წითელის ხავერდის კარავით მორთული. ლოჟის უკან ოთახი იყო მომზადებული, სადაც შახს ჩაი უნდა მიერთმია. რაც ლოჟები იყო, სულ მშვენივრად მორთულ ქალებით იყო სავსე ასე, რომ ლოჟაში ერთი კაციც არ ჰსჩანდა. მთელი თეატრი გაჭედილი იყო ხალხითა. როცა წარმოდგენა გათავდა, შახი ჩამობძანდა სასეიროდ ბაღში. ბაღი თუმცა გაჩაღებული იყო, მაგრამ ისე არა, როგორიც სამზადისი ჰქონებიყოთ: წვიმამ დაუშალა.

ხუთშაბადს რვა საათზედ დილით შახი ქალაქიდამ წაბძანდა.

დამწესებელნი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის შედგენილისა შეიყარნენ 30-ს აპრილს და განაჩინეს, რომ დროებითის კომიტეტის სახელითა მოიწვიონ თავად-აზნაურთა ბანკის სადგურში 8-ს მაისს საათის რვის ნახევარზედ საღამოთი საზოგადო კრება აღმოსარჩევად საზოგადოების საქმეების გამგეთა პირთა.

კომიტეტი თავის ვალად ჰრაცხს გამოაცხადოს ეს ზემოხსენებულის საზოგადოების წევრთა საცოდნელად.

წლიური ანგარიში.

ივერის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა 1877-ს წლისა,

შემოსავალი:	მანეთი.	კ.	გასავალი:	მანეთი.	კ.
წილის ფული 206 წევრისა — — —	2,124	85	გასესხებული — — — — — — — —	6,981	80
სარგებელი წინეთ დაჭერილი — — —	411	38	გადახდილი ნასესხი პირველათ — — —	500	—
სარგებელი ახალი ვადა მიცემულისა — —	2	—	მეორეთ — — —	500	—
დაბრუნებული ნასესხი — — — — —	3,254	90	სარგებელი გადახდილი ნასესხებისა — —	104	3
ნასესხი თბილისის საურთიერთო ნდობის ბანკიდგან პირველათ — — — —	500	—	საწევრო ფული თბილისის საურთიერთო ნდობის ბანკიდამ — — — — —	100	—
მეორეთ — — — — —	500	—	სარგებელი ვადაზედ წინეთ დაბრუნებული გასესხებულისა — — — — — —	5	92
მესამედ — — — — —	500	—	სამართველოს ხარჯი — — — — —	15	95
მეოთხეთ . — — — —	500	—	დავთრებისა და ბეჭდისა — — — —	31	55
ნასესხი ამხანაგისაგან — — — — —	938	40	ვექსილის ქაღალდებში — — — — —	9	45
შესანახათ შემოტანილი — — — — —	30	—	დაუბრუნდა წილი ერთ გამოსულ ამხანაგს	25	—
ჯარიმა . — — — — — — — —	14	97	კასსაში არის — — — — — — —	542	43
გასყიდულის ვექსილის ქაღალდებისა — —	11	47			
სათადარიგო თანხა 1876 წლისა — —	2	87			
წმინდა მოგება—1876 წლისა — — —	25	29			
ჯამი	8,816	13	ჯამი	8,816	13

1-ს იანვრისთვის 1878 წელსა იყო ნამდვილათ

შემოსავალი:	მანეთი.	კ.	გასავალი:	მანეთი.	კ.
წილის ფული 205 წევრისა . — — —	2,099	85	გასესხებული — — — — — — — —	3,726	90
არის წმინდა მოგება — — — — —	271	95	საწევრო ფული თბილისის საურთიერთო ნდობის ბანკიდგან — — — — —	100	—
ნასესხი თბილისის საურთიერთო ნდობის ბანკიდგან — — — — — — —	1,000	—	კასსაში არის — — — — — — —	541	46
კერძო ამხანაგისაგან ნასესხი — — —	938	40			
შესანახათ შემოტანილი . — — — —	30	—			
წმინდა მოგება 1876 წლისა — — —	25	29			
სათადარიგო თანხა 1876 წლისა — —	2	87			
ჯამი	4,368	36	ჯამი	4,368	36

თავ-მჯდომარე სპირიდონ ჯაბადარი.

წევრნი გამგებლობისა:
- ალექსანდრე ცხვეთაძე.
- მღ. თევდორე გულისოვი.
- აზარია დიაროვი.

წევრნი რჩევისა:
- მღ. აბრამ ნახუცაროვი.
- გრიგოლ ბილანოვი.
- ავეტიქ არუთინოვი.
- სოლომონ გოდერძოვი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა პირთა, მიდებული ბანკისაგან გირაოდ, დანიშნებიან საჯარო გასასყიდად, თანხმად §15 ამა ბანკის წესდებისა, რადგანაც ბანკის წესდებით დადგინებული ექვსის თვით წინ შემოსატანი თეული ქონების პატრონთა არ შემოუტანიათ.

გასყიდვა შეიძლება გაუქმებულ იქმნას მხოლოდ მაშინ, როცა შემოსატანს თეულს პატრონნი შემოიტანენ.

სახელი და გვარი მამულის პატრონთა.	რაოდენობა ქონებათა.	ადგილ-მდებარეობა ქონებათა.
ხეჩატურა როსტომის ძე სულთანოვი.	ერთ სართულიანი სახლი მიწით, ზომით 38 ოთხ-კუთხე საჟ.	ქ. თფილისს, 2 განყოფილების 13 ნაწილში.
ქრისტეფორე ნიკიტის ძე ტერ-მიკირტიანცი.	სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოვილ გვარის შენობით და მიწით, ზომით 634 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, 2 განყოფილების 12 ნაწილში; ჩუღურეთში, ნიკოლაევის ქუჩაზე.
გაბრიელ და მიხაილ იასეს ძენი სულხანოვები.	ოთხი დუქანი თავის მოწყობილობით, ეზოთი და მიწით, ზომით 36 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, 2 განყოფილების 14 ნაწილში.
ალექსანდრე სოლომონის ძე ბურდულოვი.	ორი დუქანი ეზოვილ გვარის მოწყობილობით, ეზოთი და მიწით, ზომით 600 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, 2 განყოფილების 11 ნაწილში.
მარია ივანეს ასული სულხანოვისა.	ა) ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ სართულიანი, ორი ორორ სართულიანი და თერთმეტი თითო სართულიანი ქვითკირის დუქნები.	ქ. თფილისს, ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში.
ეგნატე ნიკოლოზის ძე ჭიჭიხაძე.	ხუთი თითო სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 115 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, მთა-წმინდაში, 1 განყოფილების 1 ნაწილში.
იაკობ სვიმონის ძე პავლიევი.	ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ სართულიანი სამოსამსახურო სახლით და მიწით, ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, ნემეტების ქუჩაზე, 1 განყოფილების 5 ნაწილში.
მარია კონას ასული ტერ-ზახაროვისა.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 18 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისში, ეზმიაძინის ქუჩაზე, 2 განყოფილების 13 ნაწილში.

სახელი და გვარი მიმულის პატრონთა.	რაოდენობა ქონებათა.	ადგილ-მდებარეობა ქონებათა.
სარქის მარტიროზის ძე ბაბოვი.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 30 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისში, 2 განყოფილების 13 ნაწილში.
ნაპოლეონ ივანეს ძე კნ. ამატუნი.	ა) ორ სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და ორ სართულიანის სამოსამსახურო სახლით და ბ) ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მიწით, ზომით სულ 57,879 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, ველიამინოვის ქუჩაზე, №№ 2 და 11, 1 განყოფილების 4 ნაწილში.
დავით ივანეს ძე კნ. ციციანოვი.	მიწები, ზომით 87 დესეტინა და 960 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისის გუბერნიის გორის მაზრაში, სოფელ ქვემო-ნიჩბისში.
კნ. იოსებ, გიორგი და კნეინა მარია ივანეს ძენი ბარათოვნი.	მიწები, ზომით 536 დესეტინა და 1,920 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისის გუბერნიაში და მაზრაში. კომარლოს (პატარა რატევანი) დაჩაზე.
კნ. მარია ბიძინას ასული თარხან-მოურავისა.	მიწები, ზომით 545 დესეტინა და 1,645 ოთხ-კე საჟენი.	თფილისის გუბერნიის, გორის მაზრაში, სათუხარელოს დაჩაზე,
მიხაილ არტემისძე პირადოვი.	ბაღი ერთ სართულიანის სახლით, წყაროთი, ეზოთი და ყოველ გვარის შენობებით, ზომით: ბაღის მიწა სიგრძით 135 საჟენი, სიგანით 80 საჟ. და სახლის ქვეშ მიწა და ეზო 250 ოთხ-კუთხე საჟ.	თფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. თბისში.
გიურქა სტეფანოვი.	ცარიელი მიწები, ზომით 300 ოთხ-კუთხე საჟენი.	ქ. თფილისს, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე.
არტემ ფადეის ძე აიგაზოვი.	ერთ სართულიანი სახლი ერთ სართულიანის ფლიგელით და მიწით, ზომით 413 ოთხ-კუთხე საჟ., ფლიგელის ქვეშ მიწა 51 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისს, 1 განყოფილების 3 ნაწილში № 219.
მინადორა ზურაბის ასული საყვარელიძე.	მიწები, ზომით 25 დესეტინა და 601 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის, სოფლებ ზეკარში, ცოცხნარში, ოდზისში და ზანდისში.
დარჩო პეტრუზოვი (ყოფილი დჯანოლოვი).	სამი ვენახი თავის მიწით, ზომით 1 დესეტინა, 1 800 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფელ ცხინვალში.
კნ. გიორგი გიორგის ძე ყოჩიბაძიშვილი.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მიწით, ზომით: სიგრძით 57 ოთხ-კუთხე საჟ და სიგანით 25 ოთხ-კუთხე საჟენი.	თფილისის გუბერნიის ქალაქ თელავში.

წლის ანგარიში

ნაფარეულის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა.

1-ს იანვარს 1877 წელს იყო:

	მან.	კაპ.
წილის ფული	176	50
ჯამი.	176	50

	მან.	კაპ.
გასესხებული	142	„
ზარალი	10	84
დარჩა:		
ნაღდ ფულათ	3	66
ინვენტარში	20	„
ჯამი.	176	50

1877 წელს

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული	424	„
სარგებელი დაჭერილი:		
გას. და ახ. ვადის მიცემის დროს	61	67
დაბრუნება ნასესხისა	445	95
ჯარიმა	„	58
ჯამი:	932	20

გასავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული	18	20
გასესხებული	842	86
სამმართველოს ხარჯი	35	28
ჯამი:	896	34

1-ს იანვარს 1878 წელს არის:

	მან.	მან.
წილის ფული	582	30
წმინდა მოგება	16	13
ჯამი:	598	43

	მან.	კაპ.
გასესხებული	538	91
დარჩა ნაღდ ფულად	59	52
ჯამი:	598	43

თავს-მჯდომარე თ. მ. ყარალაშვილი.

სამმართველოს გამგებელნი:
- ს. წერეთელი.
- მ. სესიოვი.
- ი. გოდაბრელიძე.

რჩევის წევრნი:
1, თ. ნ. ავალოვი.
2, თ. ა. ჯორჯაძე.
3, მღვ. დ. ზარიძე.
4, ს. გაიპარავშვილი.
5, ს. ნაოშაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Мая 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.